

განსაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

საქართველოს სამხედრო ძალების შევსება ჯანმრთელი კონტიგენტით.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანები

წვევამდელთა დამატებითი სამედიცინო გამოკვლევა სამხედრო ძალებში გაწვევის წინ.

მუხლი 3. მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები.
2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 4. კომპონენტები და მომსახურების მოცულობა

1. პროგრამით განსაზღვრული მომსახურება სახელმწიფოს მიერ ფინანსდება სრულად
2. პროგრამის კომპონენტები და მომსახურების მოცულობა განსაზღვრულია შემდეგი ცხრილის შესაბამისად.

კომპონენტები	მომსახურების მოცულობა
<p>1. სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა ამბულატორიული შემოწმების კომპონენტი</p>	<p>კომპონენტით განსაზღვრული მომსახურება სახელმწიფოს მიერ ფინანსდება სრულად</p> <p>ა) მუდმივმოქმედი სამხედრო სამედიცინო – საექსპერტო კომისიის მიერ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება;</p> <p>ბ) დამატებითი სამედიცინო გამოკვლევების ჩატარების უზრუნველყოფა, კერძოდ;</p> <p>გ) სპეციალისტების კონსულტაცია (თერაპევტი, ოტორინოლარინგოლოგი, ქირურგი, ფსიქიატრი, დერმატო-ვენეროლოგი, ოფთალმოლოგი, სტომატოლოგი, ნევროპათოლოგი, ფთიზიატრი, ორთოპედ-ტრავმატოლოგი)</p> <p>დ) დამატებითი სამედიცინო გამოკვლევები</p> <p>დ.ა) სისხლის საერთო ანალიზი;</p> <p>დ.ბ) შარდის საერთო ანალიზი;</p> <p>დ.გ) ფიბროგასტროდუოდენოსკოპია;</p> <p>დ.დ) ელექტროკარდიოგრაფია;</p> <p>დ.ე) სისხლის ჯგუფის და რეზუსის განსაზღვრა;</p> <p>დ.ვ) ფლუოროგრაფია;</p> <p>დ.ზ) AIV ანტისხეულების (ანტიგენის) განსაზღვრა სისხლის შრატში სწრაფი/მარტივი მეთოდით;</p> <p>დ. განსაზღვრა სისხლის შრატში სწრაფი/ მარ-ტივი მეთოდით;</p> <p>დ.ი) HCV საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლის შრატში სწრაფი/მარტივი მეთოდით;</p> <p>დ.კ) ათაშანგის დიაგნოსტიკა (ექსპრეს მეთოდით).</p>

ონენტის ფარგლებში ხორციელდება სამხედრო  
 ბში გასაწვევ მოქალაქეთა დამატებითი  
 იონარული სამედიცინო შემოწმება სამხედრო ძალებში

სტაციონარული	გა-	გაწვევისათვის.
მოკვლევების კომპონენტი		

**მუხლი 5. მომსახურების შესყიდვა და განხორციელების მექანიზმები**

1. პროგრამით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

2. სატენდერო პირობებს, ხელშეკრულების პირობებს, ანგარიშსწორების ფორმებსა და წესს პროგრამის შესაბამისად განსაზღვრავს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

**მუხლი 6. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების მექანიზმები**

1. დაფინანსება ხორციელდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით.
2. ერთი წვევამდელის ამბულატორიული გამოკვლევის ღირებულება განისაზღვრება 53 ლარით.

**მუხლი 7. პროგრამის ბიუჯეტი**

„საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 700,0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის მიხედვით:  
 (ათასი ლარი)

კომპონენტები	ბიუჯეტი
1. სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა ამბულატორი ული შემოწმების კომპონენტი	450.0
2. სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა დამატებითი სტაციონარული გამოკვლევების კომპონენტი	250.0
<b>სულ</b>	<b>700.0</b>